საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 79
ოთხშაბათი, ნოემბრის 23
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი: დედა—ქრისტინე, ძმა გიორგი და რძალი ნინო შვილებით კალანდაძენი, ბიძა მაქსიმე შარაშიძე, დები: ფედოსი, ელვასი და ჟულიეტა, მის შვილები: თამარი, ნიკოლოზი, გიორგი, შალვა და გრიგოლი მენაბდენი, სიძენი იასონ გუნია და თევდორე წქვრქაძე, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, ოქტომბრის 24 ს ს. ხიდისთავში (გურია) მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა ქ. ტფილისის ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის მასწავლებელი

ბესარიონ ყარამანის ძე

კალანდაძე

ტირილის დღეთ დანიშნულია შაბათი, ნოემბრის 26-ს. ვსთხოვთ ყველა ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ აღნიშნულ დღეს დაგვესწრონ და ანუგეშონ მწუხარებაში მყოფნი. 101

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: ბიძა გიგო, ბიცოლა მარგალიტა ბიძაშვილებით: დარისპან, ალმასხან, ვანო, სეფე, კესარია, ოლიჩკა ვარდო ოფია; რძლები: ევრასი, ეფემია, მარია და მანია კალანდაძენი; სიძენი: კაპიტონ ჭანიშვილი, სანდრო შ[illegible]ნია და სანდრო თევდორაძე, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ს. ხიდისთავში (გურია) ოქტომბრის 24 მძიმე ავადმყოფობით (სახადი—СЫПНОЙ ТИФ) გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი ქ. ტფილისის ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის მასწავლებელი

ბესარიონ ყარამანის ძე

კალანდაძე

102

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის (ცეკავშირის) გამგეობა ამით აუწყებს თავის მოკავშირეებს, რომ ამა წლის 27 ნოემბერს ქ. ტფილისში დანიშნულია

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის (ცეკავშირის) რწმუნებულთა მე-2 წლიური ყრილობა

შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. ყრილობის პრეზიდიუმის არჩევნები, 2. რწმუნებულთა ყრილობის სახელმძღვანელო ინსტრუქცია, 3. ცეკავშირის 1920 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4. ცეკავშირის გამგეობის 1921 წლის მოქმედების მიმოხილვა, ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება და მოკავშირეთა ბიუროს მოხსენება, 5. საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა და კოოპერაცია, 6. ცეკავშირის მომავალი მოქმედების გეგმა (სამეურნეო და საორგანიზაციო), 7. ცეკავშირის დამოკიდებულება მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების კოოპერატიულ ცენტრებთან, 8. ვოლგის მხარის დამშეულთა დახმარება, 9. კოოპერაციის საკუთარი შენობის ასაგებად ფონდის შექმნა, 10. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები თანახმად ცეკავშირის წესდების 53 მუხლისა და 11. მიმდინარე საკითხები.

ცეკავშირის წესდების მე-8, 9, 10 და 11 § ბის თანახმად საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის წევრებად ითვლებიან: გომის, გორის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, საჯავახოს, ნატანების, სამტრედიის, ზუგდიდ-სამურზაყანოს, ზესტაფონის, ჭიათურა-საჩხერის, სენაკის, აბაშის, დუშეთის, სიღნაღის, ლორის, ვორონცოვის, ქუთაისის, ტფილისის, სოხუმის, ახალქალაქის და კახეთის სარაიონო კოოპერატიული კავშირები, სომხეთის კოოპერატივთა კავშირი „აიკოპი“, მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსადებლო კავშირი (წარმოკავშირი), ფოთის მომხმარებელთა საზოგადოება „ეკონომია“, ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება, ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა „კულტურა“, ქობულეთის ცენტრალური კოოპერატივი; საქართველოს კოოპერატიული ბანკი გზავნის ყრილობაზე ერთ წარმომადგენელს.

ცეკავშირის წესდების მე-29 და 30 მუხლების თანახმად ზემოჩამოთვლილი კოოპერატიული ორგანიზაციები გზავნიან რწმუნებულთა ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად: გომის კავშირი—5 რწმუნებულს, გორის—8 რწმ., ჩოხატაურის—3 რწმ., ოზურგეთის—5 რწმ., ლანჩხუთის—5 რწმ., საჯავახოს—2, ნატანების—2, სამტრედიის 5, ზუგდიდ-სამურზაყანოს—8, ზესტაფონის—8, ჭიათურა-საჩხერის—5, სენაკის—5, აბაშის—3, დუშეთის—3, სიღნაღის—8, ლორის—5, ვორონცოვის—1, ქუთაისის—10, ტფილისის—10, სოხუმის—3, კახეთის—8, ახალქალაქის—1, წარმოკავშირი—1, ფოთის „ეკონომია“—1, ბათომის მომხმარებელთა საზოგადოება—2, ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ამხ. „კულტურა“—1, ქობულეთის ცენტრალური კოოპერატივი—1, საქართველოს კოოპერ. ბანკი—1 რწმუნებულს.

ცეკავშირის წესდების მე 9 მუხ. თანახმად რწმუნებულთა ყრილობა შესდგება კავშირის წევრთაგან თავიანთ კრებაზე—რწმუნებულთა კრებაზე—ერთი წლის ვადით სპეციალურად არჩეულ პირებისაგან.

ცეკავშირის გამგეობა სთხოვს თავის წევრებს დაუყონებლივ გადმოგზავნონ ცენტრალურ კავშირში წესდების მე 9, 10, 11, 29 და 30 §§ ბის თანახმად არჩეულ რწმუნებულთა სიები.

ყრილობაზე გამოგზავნილ რწმუნებულს უნდა ექნეთ თან სათანადო მანდატები დაწვრილებით ცნობების ყრილობის ადგილს, რწმუნებულთათვის ბინის, ყრილობის პირველ სხდომის გახსნის და სხვა ამგვარის შესახებ ჩამოსული რწმუნებულნი მიიღებენ ცეკავშირის მთავარ კანტორაში (შტაბის ქ., სახ. № 4, ყოფილი კავკასიის ბანკის შენობაში).

საქართველოს ცენტრ. კოოპერატიული კავშირის გამგეობა.

26 ოქტომბერი 1921 წ.
ქ. ტფილისი.

სახელმწიფოებრივი საკითხები

2

საქართველო—სანკიულოტი.

ამ წერილის მიზანია პასუხი გასცეს „კომუნისტს“. ორი შეკითხვა მოგვცა „კომუნისტმა“: 1. რისთვის არის სახარალო საქართველოსათვის ამიერ-კავკასიის ფედერაცია, 2. საქართველო თავისთავად ძლიერ ღარიბია, ან როგორც ეს სთქვა ერთმა გავლენიანმა ცნობილმა ხელისუფალთაგანმა სხვა შემთხვევისათვის—საქართველო სანკიულოტური სახელმწიფოა.

ნება მოგვეცით [illegible] საქართველოზე ვილაპარაკოთ, როგორც სანკიულოტზე.

ძალიან გავრცელებულია საქართველოს შესახებ შემდეგი აზრი: საქართველო ძალიან ღარიბი ქვეყანაა. მენშევიკების ოცი წლის მოღვაწეობის აზრიც იმას „შეიცავდა“, რომ ქვეყნისათვის შთაეგონებინა—საქართველო „ტარაფა“, ლატაკია, იგი უშარვლოების მხარეა, არ შეუძლია თვით არსებობა და სხ. ნ. ჟორდანია ლიდერია ასეთი შეხედულების. მეტად საწყენია, რომ კომუნისტები ამ ბოლო დროს ხშირად მოგვაგონებენ ჟორდანიას ასეთ აზრებს, თითქოს ამ შემთხვევაში ნოე ჟორდანია ვისთვისმე რაიმე ავტორიტეტი იყოს.

საკვირველ მოვლენას არ შეგვიძლიან ყურადღება არ მივაქციოთ: საქართველო ხან თვალმარგალიტია, ხან ოქროს ვერძია, ხან კი ერთბაშად უშარვლოების განსახიერებაა. მაგრამ საოცარია ამ უშარვლოებით ყველა ფერის სახელმწიფო ძალიან დაინტერესებულია და ყველანი ჩვენსკენ მოისწრაფვიან. საქართველოში მოდიან არა მარტო იმიტომ, რომ იგი სტრატეგიული პუნქტია, მილიტარულად დასაყრდენი ადგილია, მოდიან სოვდაგრებიც, კომივოიაჟორები, დალალები და მრეწველები.

რაშია საქმე, რომ ამ უშარვლოების ქვეყანას არავინ აყენებს და ასე ტკბილად ეჩვენებათ ლატაკების სამეფო?

საქმეც იმაში გახლავსთ, მკითხველო, რომ უდიდესი სიყალბეა ჟორდანიას აზროვნებისა საქართველოს სილატაკის შესახებ.

აიღეთ ერთი მეტად საყურადღებო მოვლენა, ძალიან დამახასიათებელი საქართველოს სილატაკისა: ფულის ღირებულება. ქართული ფული რაც არ უნდა დაეცეს მუდამ ოთხჯერ მეტი ღირს, ვიდრე სომხეთა ფული, ხოლო ორჯერ მეტი ღირს ვიდრე აზერბეიჯანის ფული.

ჩაკვირვებია კი ვინმე ამის მიზეზს? გარეგნული შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს აზერბეიჯანი ძალიან მდიდარი იყოს, მასთან შედარებით საქართველო უმწეო ლატაკი. საკვირველი კია თუ რად ხდება, რომ მდიდარი კაცის ფულს ნაკლები ნდობა აქვს, ვიდრე ღარიბი ქართველი კაცისას!

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ნამდვილად საქართველო შედარებით მდიდარი ქვეყანაა, ვიდრე სომხეთი და აზერბეიჯანი, საქართველოს ეს ძალა ფულში, როგორც ფოკუსში, ობიექტიურად იხატება თუმცა ჩვენ არაფერს იმის მეტს არ ვაკეთებთ, რომ ნებსით თუ უნებლიეთ დავსცეთ ქართული ფულის ღირსება და მნიშვნელობა.

ფულის ღირებულებას და სახელმწიფოს ნდობის საქმეში ორ მომენტს აქვს მთავარი მნიშვნელობა: 1. ქვეყნის განვითარებულ საწარმოო ენერგიას, 2. თვითონ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს.

გავრცელებულია აზრი, რომ საქართველო სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა, მაგრამ ამ აზრის მომხრე ამასთანავე ამტკიცებს, საქართველო ინდუსტრიულ ხალხსავით სჭამს უცხო პურსო. არსებითად საქართველო სამრეწველო ქვეყანაა სადაც ამ დრომდე მეურნეობაში მცხოვრებთა მეტი ნაწილია ჩათრეული.

საქართველოს დიდი ინდუსტრიალური მომავალი აქვს და თავის ბუნებრივი სიმდიდრით იშვიათი მხარე მსოფლიოში. უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში ჩვენ მუდამ ვსჭამდით რუსულ პურს, მაგრამ თუ ჩვენ ჩვეულებრივად შემოგვქონდა 1—1,5 მილლიონი ფუთი პურეული, სამაგიეროდ ყოველთვის გაგვქონდა უცხოეთში 1—2 მილიონი ფუთი.

ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სათბობ მასალას, აზერბეიჯანის ნავთის გამო ლამის არის საქართველოს მატერიალური ღირსება აყარონ თუმცა დღეს-დღეობით აზერბეიჯანს ნავთი ძალიან დიდ სარგებლობას თვითონ აზერბეიჯანსაც არ აძლევს. ყოველ შემთხვევაში სათბობი მასალის მხრივ საქართველო არსებითად გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფება, ვიდრე აზერბეიჯანი. ჩვენ მოგვეპოება თეთრი ნახშირი 5 მილიონი ცხენის ძალის, რაიცა აამოძრავებს ელექტრონით მთელ ამიერ-კავკასიის რკინის გზას, დააკმაყოფილებს უღელტეხილის სარკინისგზო პროექტს, გამოკვებს საქართველოს ყველა ქალაქის ტრამვაის და გაანათებს ყოველ სოფელს. საქართველოს მდინარეებით შეიძლება მოირწყას ყველა გასაშრობელი სახნავი მიწა და ამგვარად უამრავი ქონება მივიღოთ. ასეთი სიმდიდრე არ მოეპოება არც სომხეთს და არც აზერბეიჯანს.

კახეთში მოგვეპოება ნავთის წყაროები, რომელიც რაოდენამდე ეხლაც კვებავს ზოგიერთ მოთხოვნილებას, ხოლო სამომავლოდ კახეთს დიდი წარმოება მოელის. ნახშირის მხრივ ხომ საქართველო ყველას სჯობნის. ტყიბულის ნახშირის რაციონალურად მოწყობა გამოკვებს არა მარტო რკინის გზას, როგორც სათბობი მასალა ის მიეცემა უცხოეთის დიდ გემებსაც, რაიცა ჩვენ მოგვცემს ძვირფას სხვა და სხვა ნაწარმოებს, რაც შეეხება ტყვარჩელის ნახშირს იგი ღირსებით სჯობნის კარდიფის ნახშირს, ევროპიულ ექსპლოატაციას უზრუნველჰყოფს მთელი საუკუნის განმავლობაში, ხოლო დასამუშავებლად ამოსაღებად მსოფლიოში არც ერთი მადანი არ არის ისე ადვილი, როგორც ტყვარჩელისა. ტყვარჩელის მადანი მთელ ამიერ-კავკასიის განვითარებულ მრეწველობას დააჩენს.

აიღეთ თქვენ ჭიათურის ქვა-მარგანეცი. ამ ჟამად რესპუბლიკის განკარგულებაშია 60 მილიონზე მეტი დამზადებული ქვა, არის ევროპიულ მრეწველობის მიხედვით მოწყობილი მრეწველობა, ხოლო თავისი ღირსებით ჭიათურის მარგანეცი სჯობნის ბრაზილიის, კუბას და სხ. მადანს. რამდენ ტრილიონს მისცემს ეს სიმდიდრე დღეს ჩვენს ხაზინას არსებულ ვალიუტით!

ჩვენ არ შეგვიძლიან არ მოვიგონოთ სხვა სიმდიდრეც. ალავერდის ქარხნებში ჩვენი წინაპარნი ამზადებდნენ ქართულ ვალიუტას—ვერცხლისა და სპილენძის ფულს, ფოლადის წარმოება მანდ არ შეჩერებულა უკანასკნელ დრომდე. განა საქართველოს სიგლახეს თუ ჩვენს უნიჭობას უნდა მიეწეროს, რომ მამაპაპათაგან გადმოცემული, წარმოებისათვის მოწყობილი სიმდიდრე ჩვენ ვერ შევინახოთ და ვერ მოვაგვარეთ! აიღეთ ბათომის ოლქის უძვირფასესი, დღეს რომ ტრილიონები ღირს სპილენძის მრავალი ქარხანა. ჩვენი ქვეყანაა იმაში დამნაშავე, რომ ჩვენისთანა გლახა შვილებმა მისი ღირსებანი შევლახოთ? რაჭის სპილენძი ხომ დღესაც არ არის გამოყენებული.

რომელი ერთი დავასახელოთ საქართველოს აუწერელი სიმდიდრიდან? აიღეთ მარტო ბორჯომის ხეობის ტყე და გადაიტანეთ იგი ოქროზე. რამდენ საქართველოსთანა სახელმწიფოს გაამდიდრებს საქართველოს უღრანი ტყეები? —მაგრამ ჩვენ ვზივართ ამ ბაჯაღლო ოქროს საგანძურში და არც კი გვრცხვენია მეოცე საუკუნეში გავიძახით: ჩვენისთანა ლატაკი ერი ქვეყანაზე არ მოიპოვებაო! მართლა რომ ჩვენს ხელში და ჩვენი შემყურე ქვეყანა დაგლახავდეს!

საქართველო იძლევა მდიდარ მასალას ყოველგვარ მრეწველობისათვის. შალის, მატყლის, ჩითის, ტყავის, ქაღალდის, ჭურჭლის, შაქრის, ჩაის, ყავის, ყოველგვარ მრეწველობისათვის ჩვენი მხარე იძლევა იშვიათ მასალას. აზერბეჯანს და სომხეთს სიზმრადაც არ მოუვა მთელი რიგი სამეურნეო ძვირფასი კულტურა, რომლის მოშენება შეიძლება მეტად ფართოდ საქართველოში. ვენახი, დაფნა, აბრეშუმი, ხილი, ბოსტანი, პირუტყვი საქართველოს გახდიდა მსოფლიოში ერთ უმდიდრეს რესპუბლიკად თავის ტანიან რესპუბლიკებში. არტაანის რაიონი განთქმულია იშვიათი საძოვარი ადგილებით, არტაანს შეუძლია გამოკვებოს მსუქანი და მარგებელი ხორცით მთელი ამიერ-კავკასია. მაგრამ ნუ თუ საქართველოა იმაში დამნაშავე, რომ ჩვენისთანა გლახა შვილებმა საქართველოს ისტორიის ეს აკვანი ვერ შეუნახეთ შთამომავლობას?

საქართველო თამბაქოს, ბამბუკის, ზეთისხილის, ფორთოხლის ქვეყანაა. ამიერ-კავკასიის არც ერთ კუთხეში არ მოიპოვება იმდენი სამკურნალო, სამრეწველო სამკურნალო წყალი, რამდენიც საქართველოში, საქართველო მთელ რუსეთს შეუძლია ემსახუროს თავისი სამკურნალო ჰაერით, მაგრამ ჩვენი კურორტები ჩვენს ხელში რასა ჰგავს. სხვების განკურნების მაგიერ ლამის არის ჩვენ შეგვჭამოს ჭუჭყმა და ჭლექმა!

საქართველოს გეოგრაფია, მისი მდებარეობა ვაჭრობა-მრეწველობის თვალსაზრისით აუწერელია, იგი მოგვცემდა მთელ ბიუჯეტის დამფარავ შემოსავალს. თითქმის მთელი კავკასია იძულებულია სავაჭროთ საქართველოს ნავთსადგურები გამოიყენოს, სპარსეთი და ოსმალეთი (ნაწილი) ეხლაც სარგებლობს ბათომ-ფოთით, ხოლო აზერბეიჯანს და სომხეთს საქართველოს ნავთსადგურების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. ვაფასებთ კი ჩვენ ამას, ან გვესმის კი ჩვენ მისი მნიშვნელობა?

თვითონ შავი ზღვა და ზღვის ცხოველები ჩვენ გვაძლევენ მთელ რიგ მრეწველობის საშუალებას—ჩვენ კი ვზივართ და ვღიღინობთ: ჩვენისთანა ლატაკი ხალხი დედამიწის ზურგზე არაა!

მუდამ ჟამს საქართველო იყო მთელი წინა აზიის ვაჭრობის ცენტრი. მთელს ახლო აღმოსავლეთში ტფილისის საწყობები განთქმული იყო თავისი სიმდიდრით და მოწყობილობით. მეფეთა საწყობებში, აგრეთვე არწრუნის, სარქისოვების და სხ. ქარვასლებში მრავლად იყრიდნენ თავს სპარსთა და ოსმალთა სოვდაგარნი. ტფილისის ფასები აწესებდნენ კურსს,მაზანდას. არსად ისე იაფი არ იყო საქონელი, როგორც ტფილისში, მთელი საქართველო ამაყობდა და მდიდრდებოდა ამ მდგომარეობით, დღეს კი ჩვენ გადმომდგარვართ და ვტირით: ჩვენი ქვეყანა უშარვლოების ქვეყანაა!

იცოდეთ ყველამ: თუ ჩვენ ვერ შევინახავთ ჩვენს ქვეყანას, როგორც იგი გადმოგვცეს ჩვენს წინაპართ, თუ ჩვენ დავკარგავთ არტაანს, ბათომს, თუ ჩვენ მივაგდებთ ბორჩალოს და ალავერდს, თუ ჩვენ ოსური ორიენტაციით დავამხობთ ბორჯომს, თუ ჩვენ ჩამოვიგდებთ აფხაზეთს და ტყვარჩელს, ესე იგი თუ ჩვენ დავასამარებთ ისტორიულ და ეკონომიურ საქართველოს—ჩვენ შთამომავლობიდან დავიმსახურებთ წყევას, კრულვას, შეჩვენებას, მაგრამ ნუ თუ ესოდენ უღირსნი ჩვენი თავები კიდევ უნდა ავიყვანოთ უმეცრების იმ წვერტილზე, რომ ურცხვენელად ვიძახოდეთ—საქართველო სანკიულოტი სახელმწიფოაო?

— გავჩერდეთ მაინც და აშენებულს ნუ ვანგრევთ!

— საქართველო ისტორიულად იყო მდიდარი და ძლიერი. საქართველოს პოეზია, საქართველოს ფილოსოფია, საქართველოს მართლმსაჯულობა, საქართველოს ძველი კულტურა... აბა, რა ბედნიერები ვიქნებოდით, რომ დღეს შეგვეძლებოდეს ძველი ჩვენი კულტურის ნაშთმალის გაკეთება!! ჩვენი ეკლესიები ოქროებითა და მარგალიტებით იყო შემკული, ჩვენი წიგნის ყდებს ოქროების ასოები ამშვენებდნენ, ჩვენი ციხეებს აგებდნენ ვეებერთელა ქვებით, რომელთაც 42 დიუმიანი ზარბაზანიც ვერას დააკლებს. ჩვენ ვსხედვართ, ვფლანგავთ ამ სიმდიდრეს, ვსჭამთ ჩვენი წინაპრების ნაოფლარს, ვანგრევთ მათ ნამუშევართ და ასეთი ძალების გამბედაობა გვაქვს ვამტკიცოთ: ჩვენი ქვეყანა ლატაკი ქვეყანაა!

სული გვქონდა მაღალი და სპეტაკი—დავემდაბლდით, გავგლახაკდით. რაინდობა შევიწყვიდა და გაიძვერანი შევიქენით, სიმდიდრე გვქონდა და გავმათხოვრდით. ჩვენი ძმები ღარიბი თუ იყვნენ მტერს მაინც ებრძოდნენ—მდიდარნი ვართო. ჩვენ მართებულად თუ უმართებულოდ გზის ყოველ მიხვეულში ვამტკიცებთ:—გლახები ვართო!

— დავგლახაკდებით—უპველის!..

თედო ღლონტი.

ჩვენი ორიენტაცია

3.

თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვამ და ომის მიერ შექმნილ პირობების გათვალისწინებამ ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პატარა და ჩამორჩენილ ერთა თავისუფალი განვითარება შეუძლებელია იმპერიალიზმის ბატონობის ხანაში, რომ ამ ერთა საღად გაგებული ინტერესი მოითხოვს მთელი თანამედროვე სოციალური კულტურის და საერთაშორისო ურთიერთობის ახალს სამართლიანს საფუძვლებზე გარდაქმნას. ამიტომ მათი მომავალი ღრმად არის გადაჯაჭვული იმ დიდ სოციალისტურს მოძრაობაზე, რომელიც ვითარდება საერთაშორისო პროლეტარიატის მეთაურობით მთელს მსოფლიოში. პატარა ერთა ორიენტაცია არსებითად უნდა იქმნეს გადახრილი საერთაშორისო რევოლუციის მხარეზე. ამას მოითხოვს საღად გაგებული ეროვნული მომენტები და იმპერიალიზმის მიერ შექმნილი ობიექტიური გარემოება.

კონკრეტიულად რევოლუციის გამტარებელი ძალა არის საბჭოთა რესპუბლიკები და მე-III ინტერნაციონალი, კაპიტალიზმის—ანტანტა და „ერთა ლიგა“. ასეთია რეალური გარემოებები იმ დიამეტრალურად საწინააღმდეგო ძალებისა, რომელნიც ჩვენს ახლოს იბრძვიან და ჩვენ გვერტყიან ირგვლივ.

ამ ძალთა შორის მთელი ჩვენი სიმპატიები, მთელი ჩვენი თანაგრძნობა საბჭოთა რესპუბლიკებისაკენ არის და არ[illegible] [illegible]ებითად ჩვენ ნამდვილი ა[illegible] საერთაშორისო ბრძოლის პროცესში.

კონკრეტიულ ფორმებში ჩვენი ორიენტაცია, ჩვენი ერთგული პოლიტიკა საბჭოთა რესპუბლიკებისა, და კომინტერნის გზით მიემართება საერთაშორისო რევოლუციისაკენ, მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების სოლიდარობისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი საერთაშორისო ომი, ბრძოლა იმპერიალიზმსა და რევოლუციის შორის დღენებით მოითხოვს მებრძოლ ძალების მობილიზაციას, მათ დარაზმვას და მიზანშეწონილად მოქმედებას.

საბჭოთა რესპუბლიკები გარსშემორტყმულნი არიან დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოებით, რომელნიც ყოველის დონის ძიებით სცდილობენ დაამხონ საბჭოთა რესპუბლიკები განადგურონ მათი სასიცოცხლო ძალები და ამით სამუდამოთ მოსპონ ყოველგვარი რევოლუციონური ორგანიზაციები. ასეთს პირობებში აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკების განუყრელი კავშირი, მათი პოლიტიკური და ეკონომიური კონტაქტი. ამას მოითხოვს ჩვენი გამარჯვების ინტერესები, გაცხარებული ბრძოლის სტრატეგია. ვისაც გამარჯვება სურს თანამედროვე პირობებში, როცა ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერი ქვეყნები დაუცხრომელის ენერგიით სცდილობენ მის მოსპობას, ის იძულებული ხდება მოკავშირე, თანამებრძოლი მეგობარი იპოვოს და მასთან შეთანხმებულად აწარმოოს პრაქტიკული მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში დამარცხების შეშველი შანსები უპირავს ხელში.

მტკიცე კავშირი და რაციონალური ურთიერთობა,—აი რას მოითხოვს საბჭოთა რესპუბლიკებისაგან დღევანდელი პირობები.

ეს ისეთი აუცილებელი პირობებია, რომელსაც ვერ გაექცევა ვერც ერთი ნამდვილი რევოლუციონური ორგანიზაცია, ვერც ერთი მებრძოლი პარტია. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ყრილობამ, რომელიც ამ ორიოდე კვირის წინედ მოხდა ქ. ტფილისში, სრულის შეგნებით აღიარა ასეთი დამოკიდებულების საჭიროება საბჭოთა რესპუბლიკებს შორის და პარტიულ პოლიტიკის საგნად გადააქცია იგი.

კითხვა იბადება: როგორს ფორმებში არის შესაძლებელი და სასურველი ასეთი დამოკიდებულების განმტკიცება?

შესაძლებლობა დამოკიდებულია კონკრეტიულს ობიექტიურს გარემოებაზე და შექმნილ პოლიტიკურს პირობებზე. დგება მომენტი, როცა საჭირო ხდება რევოლიუციონერ ძალთა (ამ შემთხვევაში ეროვნული ერთეულების) გაერთიანება ცენტრალიზმის ფორმებში; არის პირობები, როცა ეს დამოკიდებულება შესაძლო და საჭიროა დამოუკიდებელ ერთეულების არსებობის გზით და ბოლოს იქმნებიან ისეთი გარემოებანიც, როცა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დამოკიდებულების დამყარება შესაძლებელია ნამდვილი ფედერატიული კავშირის განმტკიცებით. ყოველივე ზემოდაღნიშნულ დამოკიდებულების ფორმების რეალურად განხორციელება შესაძლებელი ხდება საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ვიმეორებთ, იმ შექმნილ გარემოებათა მიხედვით, რომელშიაც ფაქტიურად უხდებათ მათ მოქმედება. ამ შემთხვევაში პოლიტიკას უხდება რეალურ ძალთა კომპლექსისა და შექმნილ პირობათა [illegible] და ამის შეწონვით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ეს არის პრაქტიკულ პოლიტიკის საგანი, რომელიც დაკვირვების, არსებულ ფაქტთა შეფასებისა და მოვლენათა შერჩევის საშუალებით იკაფავს თავის გზას.

ზემოდ ჩვენ ვეხებოდით რესპუბლიკათა დამოკიდებულების ფორმებს მხოლოდ შესაძლებლობის მხრით, რომელიც ობიექტიურ გარემოებით განისაზღვრება.

საბჭოთა რესპუბლიკების დამოკიდებულების სასურველ ფორმად კი ჩვენ მიგვაჩნია ფედერაცია.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისათვის ერთა ფედერაციის ღირებულება და მნიშვნელობა ყველაზე უფრო ნათელი და გარკვეულია და ამ საკითხში ვერც ერთი ჩვენი პოლიტიკური პარტია ვერ გაუწევს მას კონკურენციას. ერთა ფედერაციის იდეებით შემოიჭრა იგი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ვითარებაში და ამ ცხოველმყოფელი მოძღვრების ქვეშ სცდილობდა სოციალიზმ-ფედერალიზმი აღეზარდა—თავისი მემკვიდრე თაობა. ამ მხრივ ჩვენ მდიდარი წარსული გვაქვს და მას ვერ შებღალავს ძველ ხელმძღვანელთა, ზოგიერთ შემთხვევაში ყალბად გადახრილი დამოკიდებულება ამ საკითხში.

კომპარტიამ და მთელმა მე-III ინტერნაციონალმაც აღიარა ფედერაცია თავისი პრაქტიკული პოლიტიკის საგნად, მაგრამ მათი შეხედულება და გაგება ფედერაციის რაობისა არსებითად განსხვავდება ჩვენი გაგებისაგან. კომინტერნი აღიარებს [illegible] როგორც გარდამავალს ფორმას [illegible] ერთა სრულს შეერთებისაკენ. აქ ფედერალიზმი დროებით და წარმავალ ფორმად არის აღიარებული, რომელმაც ადგილი უნდა დაუთმოს მსოფლიო ცენტრალიზმს. მსოფლიო ცხოვრების ვითარების ცენტრალისტურად გაგება ძირითადად ეწინააღმდეგება ჩვენს შეხედულებას, მსოფლიო ცენტრალიზმი განუხორციელებელი დებულებაა ცა პოლიტიკურად და კულტურულად მიზანშეუწონელი. ფედერალიზმი, რომელიც რაციონალური შეთანხმებაზე დგას და ადგილობრივის, მსოფლიოს განვითარების დეცენტრალიზმის პროგნოზით ხსნის, საიდანაც განდევნილია ცენტრალიზმის ვიწრო არტახები და ადგილი აქვს დათმობილი მრავალფეროვან ინდივიდთა (მოვლენათა) ისეთს შეძლებას, სადაც დაცულია მთელი მისი განსაკუთრებული სახეობა. ფედერაცია არ არის ჩვენთვის გარდამავალი, ისტორიისაგან განწირული ფორმა ერთა ურთიერთობისა. მისი რაობა არ იკარგება დროთა ცვალებადობაში: კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდის დროს, მშრომელთა დიქტატურის ხანაში, ფედერაცია უდრესად სასურველი ფორმაა ამ დიქტატურის გამომხატველ ცალკე საბჭოთა რესპუბლიკების მტკიცე კავშირისათვის; სოციალიზმის ეპოქაში, როდესაც ყოველგვარი სახე სახელმწიფოსი მოისპობა, ფედერაცია კვლავ ასრულებს ერთა ურთიერთობის რეგულიატორის როლს გარეშე პოლიტიკისა.

ასეთია ჩვენ მიერ გაგებული ფედერალიზმის მნიშვნელობა.

ამ ზოგად დებულებიდან ფედერაციის შესახებ როგორი პრაქტიკული მოქმედების ხაზი უნდა იქნეს გამოტანილი?

პარტიულმა ყრილობამ ამის შესახებ გარკვევით გამოსთქვა თავისი შეხედულება: „საერთაშორისო რევოლიუციის პროცესში, როდესაც ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ნაცვლად შეიქმნება სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია, პარტია იბრძოლებს, რათა საქართველო გახდეს საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის თანასწორ უფლებიანი წევრი". (ი. ხ. ყრილობის რეზოლიუციები „ტრ." № 67).

ამ გვარად გარდამავალს პერიოდის ხანაში რევოლიუციონურ მოძრაობასთან შეფარდებული გარკვეული სამოქმედო გეგმები გვაქვს ჩვენ შემუშავებული. კონკრეტიულად დღეს დღეობით პარტიას არ მიაჩნია მიზანშეწონილად ამიერკავკასიის ფედერაციის გამოცხადება იმ პირობათა გამო, რომლის შესახებაც ვრცლად იყო საუბარი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ.

ეს არის სადღეისო საკითხი, დროებული და გარდამავალი.

ეროვნული დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტების შენარჩუნებით მტკიცე დამოკიდებულების განმტკიცება ყველა საბჭოთა რესპუბლიკებთან და ამ გზით მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის ხელის შეწყობა და მსოფლიო ფედერაციისათვის მზადება—აი ჩვენი სადღეისო მოქმედების გზა, აი ჩვენი ორიენტაციის შინაარსი.

სიმ. ხუნდაძე.

ახალი ამბები

— **სტიქიური უბედურება.** სექტემბერსა და ოქტომბერში რაჭის მაზრაში დასდო დიდი თოვლი, რასაც მოჰყვა ხშირი წვიმები. მდინარეები ძლიერ ადიდდა. რიონმა კალაპოტიდან ამოხეთქა თითქმის ყველა ხიდები და ბორანები დაანგრია და წაიღო. წყალდიდობის დროს დაიხრჩო ექვსამდე კაცი. მათ შორის ქვიშალის ხიდის წაღების დროს დაიხრჩო ხვანჭკარის რაიონის რევკომის წევრი ვიქტორ თეოფილეს ძე დვალი, 25—26 წლის, ყველასათვის საყვარელი. ამ უბედურებამ მთელი ხვანჭკარის და ნამანევის საზოგადოება ძლიერ დაამწუხრა.

— **ულუფის დარიგება.** ა. წ. 23 ნოემბრიდან დაიწყება № 5 ულუფის დარიგება საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურეებისა (სახელმწიფო წარმოებისა) და მუშებისათვის, რომლებიც იღებენ ულუფას საბინათო ბიუროდან. დარიგება მოხდება დუქნებიდან № № 4 (პუშკინის ქ.), 7 (ავლაბარი, კახეთის მოედანი) და 10 (ელისაბედის ქ. და პირაღოვის ქ. კუთხე) ორდერების გაცემა წარმომადგენლებზე დაიწყება ა. წ. 21 ნოემბერს მთლიან კოოპერატივის დუქნების განყოფილებიდან, მე-2 სართული ოთახი № 4 (ყოფილი სავაჭრო ქვეგანყოფილება) და შემდეგ პროდუქტების დარიგება მოხდება იმ წესების მიხედვით, რომლებიც წინად არსებობდა ორდერების გამოწერა და პროდუქტების გაცემა შეწყდება 1 დეკემბერს, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება მიღებული მხედველობაში.

— **საურთიერთო დახმარების კომიტეტი.** სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა და წარუდგინა დასამტკიცებლად საქ. ს. ს. რესპუბ. რევკომს დეკრეტის პროექტი მაზრებსა და ქალაქებში საურთიერთო დახმარების კომიტეტთა ორგანიზაციის შესახებ, რომელთაც გადაეცემათ სოციალური უზრუნველყოფის საქმე ადგილობრივ.

— **ნავთის ნაწარმოებთა გაცემა.** სათბობ მასალის მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა დააკმაყოფილოს ამიერ-კავკასიისა და აზერბეიჯანის რაიონის გზების მოთხოვნილებანი მრეწველობის მხრივ დაწესებულ წესების თანახმად. მიეცეს აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებაში ნავთის ნაწარმოებნი რეალიზაციისათვის მათი შეხედულებით. ნავთის ნაწარმოებთა გაცემა 1922 წ. ოქტომბრის 1-მდე არ აღემატებოდეს ნავთის ამოღების არსებულ 15 პროც.

— **საბჭოების არჩევნები ტფილისში.** საქართველოს რევკომის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტების პრეზიდიუმის 19 ნოემბრის გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა:

შეუდგნენ ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებისათვის სამზადისს.

ამორჩეულია კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით.

გეგეჭკორი—ქალაქის რევკომიდან, დოლობერიძე და კახიანი—ტფილისის კომიტეტიდან, ყურულაშვილი—პროფსაბჭოდან, ორახელაშვილი ცენტრალური კომიტეტიდან. კომისიის ორი წევრი წამოყენებულია საქართველოს წითელი ლაშქრისა და კავკასიის ცალკე არმიიდან. კომისიის პირველი სხდომა დანიშნულია 21 ნოემბრისათვის.

— **ხუთშაბათს** ნოემბრის 24-ს ხელოვანთა სასახლეში, სერგიევის ქუჩა №13, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო გახსნის „სალიტერატურო ხუთშაბათებს", მოხსენებას წაიკითხავს კ. გამსახურდია „სტეფან გეორგე". დასასრულ სტეფან გეორგეს ლექსებს წაიკითხავენ ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია და სხვა ახალგაზრდა მგოსნები.

პარტიაში

დღეს, საღამოს 6 საათზე „ტრიბუნის" რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. განსახილველია მოხსენება პრესის შესახებ საქართველოში.

რუსეთი

ვაჭრობა უცხო სახელმწიფოებთან. ნავიგაციის დასაწყისიდან 20 ოქტომბრამდე არხანგელსკიდან გაგზავნილია საზღვარ გარეთ დაახლოებით 70 ორთქლმავალი სატყეო მასალებით და სხვა პროდუქტებით. ამავე დროს მოვიდა არხანგელსკში 56 ორთქლმ. რომელმაც მოიტანა 2 მილიონზე მეტი სასურსათო ტვირთი... გასულ კვირას ფინლიანდიის საზღვრით, მოვიდა პეტროგრადში 43 ვაგონი ქაღალდი.

უნგრეთის კომუნისტების მოსვლა. უნგრეთის ბურჟუაზიული მთავრობა შეგვეთანხმდა მოგვცეს ჩვენ 415 კომუნისტი უნგრელები ნაცვლად ჩვენში მყოფ უნგრელ ოფიცრებისა.

2 ოქტომბერს მოსკოვში მოვიდა პირველი პარტია უნგრელ კომუნისტებისა, რიცხვით—52 კაცი. მათში 5 ჰქონდა მისჯილი სიკვდილით დასჯა, 6—სამუდამო კატორღა, 29—კატორღა 15 წ., 16—კატ. 10 წ. 3—5 წლით კატორღა. თითქმის ყველა ჩამოსული—მუშა და გლეხებია. ყველა ისინი უკანასკნელ ხანამდე იყვნენ დატუსაღებული უნგრეთში და გაყრილი ბორკილებში.

ჩამოსულთა შორის იმყოფება ამხ. გიორგი ნისპორი, ყოფილი მიწათ-მოქმედების მინისტრი საბჭოთა უნგრეთის. ჩამოსულები იქმნენ მიღებული მხურვალე თანაგრძნობით.

— აქ ჩვენ ჩამოვედით რუს ამხანაგებთან,—სთქვა სხვათა შორის ნისპორმა,—იმიტომ რომ ვიმუშაოთ მათთან ერთად.

დამხვედრთა შორის იყო ყოფილი თავმჯდომარე უნგრეთის სახალხო საბჭოთა კომისარიატისა ამხ. ბელაკუნი. სიტყვებით მიმართა კომინტერნის წარმომადგენელმა ქ. რადეკმა,

საბაზრო ფასები მოსკოვში. 30 ოქტომბრისთვის საბაზრო ფასები მოსკოვში შემდეგი იყო: შავი პური—3,400 მან. გირვანქა, თეთრი—9,000 ხორბალი—5,000 ქარტოფილი—550, ხორცი 8,500 მან. ზეთი—40,000 შაქარი—40,000 თივა—35,500 მან. ფუთი, შვრია—77,000 მან. ფუთი.

უცხოეთი

ხელშეკრულება ანგორის მთავრობასა საფრანგეთთან. ტრაპიზონის გაზეთი „იკბალი" 8 ნოემბ. აცხადებს ოფიციალურ ტექსტს შეთანხმებისას ანგორის მთავრობისას საფრანგეთთან.

1. შეთანხმებული მხარეები ხელშეკრულების ხელის მოწერის უმალ სპობენ სამხედრო მოქმედებას, ამის შესახებ ეუწყება ჯარს, სამოქალაქო მოხელეებს და მცხოვრებლებს.

2. ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ ორთავე მხარე ვალდებულია განთავისუფლოს სამხედრო ტყვეები და ყველა დატუსაღებულნი ციხეში და დაჭერილნი ოსმალნი და ფრანგნი. განთავისუფლებულნი გაგზავნილი უნდა იქმნან მახლობელ დროში იმ მთავრობის ხარჯზე, სადაც იმყოფებოდენ ტუსაღები. ეს მუხლი ვრცელდება ორთავე მხრის ყველა ტყვეებზე და ტუსაღებზე მიუხედავათ იმისა თუ რა დროს და რა ადგილს იყვნენ ისინი დაკავებულნი.

3. არა უგვიანეს ორი თვისა ხელშეკრულობის ხელის მოწერის შემდეგ საფრანგეთის ჯარის ნაწილი უნდა გავიდეს სამხრეთ საზღვრებისაკენ ამ ხელშეკრულობის მე-8 მუხლის ჩვენებით. ოსმალთა ჯარის ნაწილებმა უნდა დაიჭიროს ხაზი ამ საზღვრის ჩრდილოეთით.

4. განწმენდა და დაჭერა ოკუპაციური ოლქებისა უნდა მოხდეს მე-8 მუხლში აღნიშნულ ვადაში და გეგმით, რაც შემუშავებული იქნება შერეული კომისიის მიერ, რომელიც დანიშნული იქნება ორთავე მხრის სარდალთა მიერ.

5. მომლაპარაკებული მხარენი ვალდებულად ხდიან თავიანთ თავს საოკუპაციო რაიონის დაკავების შემდეგ მეორე მხრის მიმართ გამოაცხადოს ამ რაიონებში სრული ამნისტია.

6. მთავრობა ოსმალთა დიდი სახალხო საბჭოსა აღიარებს უფლებას უმცირესობისას თანახმად ეროვნული ერთეულის დეკლარაციისა.

7. ალექსანდრეტის რაიონში მყარდება განსაკუთრებული მართველობა: ოსმალთა მცხოვრებნი აღნიშნულ რაიონისა სარგებლობენ ყველა პრივილეგიით მისი ეროვნულ განვითარებისათვის; ოსმალური ენა ამ რაიონებში ოფიციალურ ენათ მიღებულია.

8. საზღვართა მუხლები ირკვევა შემდეგ ნაირად: საზღვარი იწყება უშუალოთ პაიასიდან სამხრეთით და მიდის პირდაპირ ეკბეზის მოედანზე; რკინის გზის სადგური მეიდან ეკბეზე რჩება სირიაზე. შემდეგ საზღვარი მიდის მარსერასთან, რომელიც რჩება სირიაზე. შემდეგ საღარაჯო ხაზი მაგრდება სამხრეთ აღმოსავლეთით მიიმართება რკინის გზის სადგურ ჩუიანთან. შემდეგ ის მიდის ბაღდადის რკინის გზის გასწვრივ. ნესიბინი რჩება ოსმალთა ტერიტორიაზე, საიდანაც ის მიიმართება ძველი გზის გასწვრივ ნესიბინიდან ჯერი ვეტუნში და იჭრება ესკი-ტიგრში.

ნესიბინის უკანი ჯენი-რუტუნი მაირ სმარი და მათ შორის გზა რჩება საფრანგეთზე. უფლება ამ გზის სარგებლობისა ორთავე ხელშეკრულ სახელმწიფოს ერთნაირად ეძლევა. ყველა რკინის სადგურები და რკინის გზა, როგორც ლიანდაგის ნაწილი ზედანბეის სადგურიდან სადგურ ნეირომინამდე რჩება ოსმალებზე.

საღარაჯო ხაზის ნამდვილად გამოსარკვევად მოეწყობა შერეული კომისია, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში უნდა შეუდგეს მუშაობას.

9. ოსმალის დინასტიის სულთან ზაბის დაარსებული საზღვარი არსებული ჯემერ კალაში წოდებული ოსმალთა სასაფლაოთ ყველა შენობები რჩება ოსმალეთის საკუთრებათ. ოსმალთა მთავრობა ნიშნავს იქ თავის დარაჯებს და ამყარებს თავის დროშას.

10. ოსმალთა დიდი სახალხო საბჭო თანახმაა გადასცეს ფრანგ კომპანიას საფრანგეთის მთავრობის ჩვენებით კონცესია რკინის გზის უბანში ბიზანტიიდან ლისემინამდე. ადანსკის ვილაიეტში და აგრეთვე ყველა უფლება დაკავშირებული კონცესიასთან 6 და მათ ექპლოატაციასთან. ოსმალეთს უფლება აქვს ისარგებლოს რკინის გზით მე-დემ-ჯავზიდან ჯელიპ-ბეიამდე, რომელიც არსებობს სირიის საზღვრებში ჯარის ნაწილისა და ტვირთის გადასატანათ. სირიას უფლება აქვს ისარგებლოს რკინის გზით, რომელიც არსებობს ოსმალეთში ჯელიპ-ბეიდან ნისემინამდე სამხედრო ნაწილების და ტვირთის გასატანით.

11. ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ ოსმალეთი და სირია აწყობს კომისიის შესადგენათ საბაჟო ხელშეკრულებისა. პირობები და ვადა ამ ხელშეკრულების მოქმედებისა განისაზღვრება ზემო აღნიშნული კომისიით. საბაჟო ხელშეკრულების შეკვრამდე ორთავე მხარე იტოვებს მოქმედების თავისუფლებას.

12. ჩრდილო ალეპოს რაიონში სამართლიანად განისაზღვრება ორთავე მხრის შორის. ალეპოს ახლო მდებარე რაიონი სარგებლობს წყლით მდინარე ევფრატის, რომელიც იმყოფება ოსმალეთის საზღვრებში.

ბინადარი და მომთაბარე მცხოვრებნი მე-8 მუხლის მიერ აღნიშნულ საზღვრებში სარგებლობს ყველა საძოვრებით და მიწებით. საღარაჯო ხაზის ორთავე მხრის მცხოვრებთ უფლება აქვს მაზე გადასვლისა შინაური ქონებით: ოჯახით საქონლით და სანოვაგით, რომლისათვის არ იხდიან არავითარ ბეგარას და გადასახადს.

ვაშინგტონის კონფერენცია.

მოსკოვი 21 ნოემ. [illegible] მიღებული ცნობების მიხედვით ინგლისის რწმუნებულმა — [illegible] თავის სიტყვაში კონფერენციაზე განაცხადა, რომ ვერც ერთი ინგლისელი მოქალაქე ვერ დაივიწყებს, რომ ის ცხოვრობს წყალთა მიმოსვლის შემწეობით რა მნიშვნელობა აქვს ინგლისისათვის ზღვას ამაზე კარგად მოეხსენება მოწინააღმდეგეებს და როგორც [illegible] ორატორს, ამას არ დაივიწყებენ ინგლისის მეგობრებიც. რაც შეეხება ხიუზის პროექტს სხვა და სხვა სახელმწიფოთა ფლოტის შემცირების ეს პროექტი ბალფურის აზრით მისაღებია ყველა სახელმწიფოთათვის, მაგრამ ამასთანავე უნდა იქნეს შემუშავებული პროექტი წყალქვეშა ნავების ტონაჟის შემცირების შესახებ და უნდა იქმნას შეჩერებული დიდი ტიპის წყალქვეშა ნავების აგება. ბალფურის განცხადებას, რომ ინგლისი ჰპირდება სრულ ლოიალურ დამოკიდებულებას ამერიკულ პროექტისადმი განიარაღების შესახებ, კონფერენცია მქუხარე ტაშით ეგებება.

„ეკო პარიზენი" და „ჟურნალ დე დება" ხაზს უსვამენ ფაქტს, რომ ხიუზის წინადადება მოწმობს ინგლისის დიდ გამარჯვებას, რომელიც ინახავს თავისთვის ხელუხლებლად დიდ ფლოტს. ეს როგორც სჩანს, საფრანგეთში საზოგადოთ მიღებული თვალსაზრისია.

„გავასის სააგენტო იტყობინება ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობებით, რომ ადმირალმა კატომ განაცხადა, რომ დიდი ზღვის სახელმწიფონი დასთანხმდებიან, რათა შეუნარჩუნონ იაპონიას მისი ტონაჟი, რადგან მხედველობაში იქნება მიღებული მისი გეოგრაფიული მდგომარეობა და საზოგადო ტონაჟი. რაც შეეხება თავდაცვის ტიპის გემებს, მათი საკითხი გადიჭრება სხვა სახელმწიფოთა ფლოტის ტონაჟის მიხედვით. იაპონიას ჰგონია, რომ დაცვითი გემებით ჩაითვლება მსუბუქი კრეისერები და წყალ ქვეშა ნავები.

17 ნოემბერს შესდგა დახურული სხდომა ვაშინგტონის კონფერენციის. ინგლისის პრესა შიშს გამოსთქვამს, რომ ბრიანის მიერ დაკავებული პოზიცია, რომლითაც ის იწონებს ამერიკის ინიციატივას, ხდის განიარაღების საკითხში შეთანხმებას შეუძლებლად, რადგან ბრიანი ამტკიცებს, რომ საფრანგეთის ჯარი და ფლოტი დღევანდელი შემადგენლობით მცირეა საფრანგეთის დასაცავადო.

ბორდო. 18 ნოემ. 20 ნოემბერს ბრიანმა უნდა გააკეთოს მოხსენება ვაშინგტონის კონფერენციაზე, რომელიც შეეხება საფრანგეთის დამოკიდებულების განიარაღების საკითხთან. ამერიკის პრესა გამოთქვამს მოსაზრებებს, რომ ბრიანი აღნიშნავს აუცილებლობას სასტიკად იქმნას დაცული ზღვისა და ხმელეთის საზღვრები იმის გამო, რომ შესაძლებელია გერმანიამ დაიწყოს ახალი რევანშის ომი, თუ ამ ჟამად არა, მომავალში მაინც. რადგან საფრანგეთი იძულებულია დაიცვას ხელოვნური საზღვარი, ამიტომ იმისთვის საჭიროა თვალსაჩინო რაოდენობა ჯარებისა. დაეყრდნობა რა ამ მოსაზრებებს, ბრიანი მოითხოვს ვაშინგტონის კონფერენციისაგან საფრანგეთისათვის საჭირო დიდი ჯარების ყოლის უფლებას. საზოგადოთ ბრიანი სცდილობს თავის როლი მშვიდობიანი შემომქმედისა, განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთისადმი, სადაც საფრანგეთი ელაქუცება ჩინეთსა და იაპონიას თავის საჭირო დამოკიდებულების გასავითარებლად. 25 ნოემბერს ბრიანი მიემგზავრება ამერიკიდან საფრანგეთში.

მოწერილი ამბები

დ. აბაშა. ნოემბრის 6 შესდგა აბაშის უბნის მასწავლებელთა კრება, სადაც იყო მსჯელობა მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ მასწავლებლობა სხვა დარგის მუშა-მოსამსახურეებთან შედარებით, უფრო უყურადღებოდაა დატოვებული. ერთად ერთი გამოსავალი გზა,—სასურსათო გადასახადის აკრეფა,—დახშულია. ვინაიდან ხალხი იქით თხოულობს დახმარებას მოუსავლიანობის გამო. კრებაზე აიხსნა რომ აბაშის რაიონს ეძლევა ნაკლები ყურადღება მთავრობის მხრივ გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: „ვინაიდან საბჭოთა უფლების დამყარების შემდეგ მასწავლებლებს არ მიუღიათ არც ჯამაგირი, გარდა ავანსის უმნიშვნელო რაოდენობისა, არც სურსათი, რის გამო მასწავლებლობას ესპობა ფიზიკური არსებობის საშუალება, აბაშის უბნის მასწავლებელთა საზოგადო კრება მოითხოვს ვისგანაც ჯერ არს საჭიროთ დააკმაყოფილონ მასწავლებლები როგორც ჯამაგირით, ისე სურსათ-სანოვაგით", ეს დადგენილება გაეგზავნა სახალხო განათლების კომისარიატს, სამაზრო განათლების განყოფილებას, სამაზრო პროფკავშირის და სრულიად საქართველოს მასწავლებელთა პროფკავშირის საბჭოს.

მასწ. ფილიპე ჩხაია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1800 სტამბა „სახალხო საქმე" [illegible] ქუჩა 4 [illegible]